



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაზრების
გაერთიანება



Siegel[®]
HR Georgia

ექსპრეს კურსი კატეგორიების მართვა შესყიდვებში

დრო: ორშაბათი, 2 ოქტომბერი, 10:00-17:00

ადგილი: CTC - Consulting and Training Center, ოთარ ჩხეიძის ქ. 5, 0177 თბილისი

შვეიცარული კომპანია Siegel Human Resource International-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გერმანიის ეკონომიკურ გაერთიანებასთან (DWV) თანამშრომლობით წარმოგიდგინთ Procurement Excellence Academy-ის **შესყიდვების კატეგორიების მართვის** ტრენინგს. თქვენ შესაძლებლობა გექვსთ გაიღრმავოთ ცოდნა და აიმაღლოთ კვალიფიკაცია შესყიდვების მიმართულებით. ტრენინგის პროგრამა შემუშავებულია მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და მას გაუძღვება შესყიდვების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, შესყიდვების კონსულტანტი, ბიზნეს ტრენერი და Siegel HR-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და კავკასიის რეგიონში - თამარ ახსიაშვილი.

კურსის მიზანი:

ტრენინგის მონაწილეები მიიღებენ საბაზისო ცოდნას შესყიდვების კატეგორიების მართვის შესახებ. შეძლებენ განსაზღვრონ შიდა კლიენტების საჭიროებები და დაყონ არსებული ხარჯები კატეგორიების მიხედვით. დაეუფლებიან ანალიზის ჩატარებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს და ისწავლიან მათ ეფექტურ გამოყენებას. შეისწავლიან თუ როგორ უნდა განსაზღვრონ და მართონ საბაზრო რისკები. კურსის დასასრულს კი შეძლებენ შეიმუშაონ ერთიანი სტრატეგია თითოეული კატეგორიისთვის.

ტრენინგის შინაარსი:

- შესყიდვების კატეგორიების მართვის განმარტება და მისი ძირითადი ამოცანები;
- რა არის კატეგორია, შესყიდვების დაყოფა სამუშაო კატეგორიებად;
- როგორ განსაზღვროთ საჭიროებები და შევიმუშაოთ სპეციფიკაცია;
- კატეგორიების მართვა და კომპანიის საერთო სტრატეგია;
- ხარჯების ანალიზის ჩატარება ისტორიულ მონაცემებზე და სამომავლო გეგმებზე დაყრდნობით;
- ბაზრის და რისკების ანალიზის ჩატარება;
- კატეგორიებისთვის რიცხობრივი და ხარისხობრივი მიზნების განსაზღვრა;
- შესყიდვების თითოეული კატეგორიისთვის სტრატეგიის შემუშავება;
- კატეგორიების მართვა და საპროექტო გუნდი;

ტრენინგი განკუთვნილია:

საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის შესყიდვების სფეროში, შესყიდვების განყოფილების როგორც მოქმედი ასევე დამწყები თანამშრომლებისთვის, მათ შორის: შესყიდვების ოფიცრები, სტრატეგიული შემსყიდველები, შესყიდვების კატეგორიების მენეჯერები.

ტრენინგის საფასური:

- 250 ლარი
- გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრებისთვის - 220 ლარი

რეგისტრაცია:

ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა, გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი ფორმა:

<https://goo.gl/forms/vpMGc9uiaQ11TnlV2>